ნიმუში

შენიშვნა: ხელშეკრულების შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ ხელშეკრულებაში უნდა დაეჩეს ერთი პირი, ასოცირებული ან ინვესტორი, იმისდა მიხედვით რომელსაც მიიღებთ

ხელშეკრულება N

_____ --- ---------- **2022 წელი**

ერთის მხრივ, კოოპერატივი „_____“ (ს/კ _____), წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის ____ _____ (პ/ნ _____) მიერ, შემდგომში „კოოპერატივი“ და მეორეს მხრივ ____ _____ (პ/ნ _____), შემდგომში „ასოცირებული/ინვესტორი წევრი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ პირობებზე:

1. **ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის განხორციელების წესი და პირობები:**

1.1. ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახე და რაოდენობა განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე საერთო კრების მიერ;

შენატანის სახე	**ქონების დასახელება**	**ღირებულება (ლარი)**
ქონება		
ფულადი		
ჯამი		

შენიშვნა: სხვადასხვა სახის ქონების შეტანისას დაამატეთ გრაფები. რა სახის შენატანიც (ფულადი ან ქონებრივი) ხორციელდება ის გრაფა დატოვეთ)

1.2. ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის ჯამური ოდენობა შეადგენს ------- ლარს;

1.3. ასოცირებული/ინვესტორი წევრი ვალდებულია ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანი განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ------ დღის ვადაში.

1.4. ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანი კოოპერატივში შეტანილად ითვლება საერთო კრების მიერ განსაზღვრული თანხის კოოპერატივის ანგარიშზე შეტანის, ან/და ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონების კოოპერატივის საკუთრებაში რეგისტრირაციის (ძროხის შემთხვევაში სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მიერ რეგისტრაცია, მიწის და/ან შენობის შემთხვევაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში

მისი რეგისტრაცია, ხოლო მოძრავი ქონების ტექნიკა, ავტომანქანა და ა.შ შსს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაცია) შემდეგ;

1.5. ასოცირებული/ინვესტორი წევრის კოოპერატივში შეტანილი ქონების ღირებულების შეფასება ხდება ურთიერთ შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ასევე შესაბამისი სპეციალისტის - ექსპერტის (აკრედიტებული აუდიტორის) მიერ. ექსპერტიზის ხარჯები ეკისრებათ მხარეებს თანაბრად. ექსპერტის შერჩევა შესაძლებელია როგორც ასოცირებული წევრის, ასევე კოოპერატივის მიერ.

2. ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახით კოოპერატივისათვის გადაცემული ქონების დატვირთვის წესი

2.1. კოოპერატივის საჭიროების შემთხვევაში ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახით კოოპერატივისათვის გადაცემული ქონების დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

2.2. ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის სახით კოოპერატივისათვის გადაცემული ქონების დატვირთვა შესაძლებელია მხოლოდ მისი შემტანი ასოცირებული წევრის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

3. დივიდენდის გაცემის წესი

3.1. ასოცირებულ/ინვესტორ წევრზე დივიდენდის გაცემა ხდება „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით და კოოპერატივის საერთო კრების მიერ დადგენილი წესით;

3.2. ასოცირებულ/ინვესტორ წევრთა შენატანებზე და მეპაიეთა დამატებით შენატანებზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგების პროპორციულად გასაცემი დივიდენდების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წმინდა მოგების 50%-ს.

3.3. კოოპერატივის წმინდა მოგებიდან დივიდენდი პირველ რიგში გაიცემა ასოცირებულ/ინვესტორ წევრებზე;

3.4. **ასოცირებულ/ინვესტორ** **წევრზე დივიდენდი გაიცემა კოოპერატივის წმინდა მოგებიდან და შეადგენს კოოპერატივის წმინდა მოგების ----%-ს** (არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის წმინდა მოგების 50%-ს) **ან** ასოცირებულ/**ინვესტორ** **წევრზე დივიდენდი გაიცემა მისი შენატანის პროპორციულად და შეადგენს მისი შენატანის ღირებულების ----%-ს** (არ უნდა აღემატებოდეს ამ ასოცირებული/ინვესტორი წევრის შენატანის ღირებულების 15%-ს ერთი სამეურნეო წლის განმავლობაში)

შენიშვნა: წინამდებარე ხელშეკრულების 3.4. პუნქტში ჩაიწერება ამ ორი პირობათაგან მხოლოდ ერთი (ან ლურჯი ჩანაწერი ან მწვანე), საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში. როდესაც კოოპერატივებს არც სადამფუძნებლო და არც სხვა საერთო კრებით აღნიშნული ერთ-ერთი წესი და დივიდენდის ოდენობა განსაზღვრული არ აქვთ, შეთანხმების გაფორმებამდე უნდა მოიწვიონ საერთო კრება და განსაზღვრონ ერთ-ერთი წესი (ლურჯი ან მწვანე ჩანაწერი), და გასაცემი დივიდენდის ოდენობა.

შენიშვნა 2: წითელი ჩანაწერები არის განმარტებები სახელმძღვანელოდ და ხელშეკრულების გაფორმებისას ტექსტში არ ჩატოვოთ.

4. ასოცირებულ/ინვესტორ წევრთან ანგარიშსწორება მისი კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში

4.1. ასოცირებული/ინვესტორი წევრი უფლება აქვს გავიდეს კოოპერატივიდან და დაიბრუნოს მისი კუთვნილი აქტივები (შენატანები ფულის ან ქონების სახით და დივიდენდი/დივიდენდის ნაწილი). კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში მასთან ანგარიშსწორება ხდება კანონით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ და კოოპერატივის წესდებით დადგენილი წესით;

4.2. ასოცირებული/ინვესტორი წევრის განცხადება კოოპერატივიდან გასვლისა და მისი შენატანის დაბრუნების თაობაზე გადაეცემა კოოპერატივის გამგეობას კოოპერატივიდან გასვლამდე არანაკლებ --- თვით ადრე;

4.3. გამგეობა ასოცირებული/ინვესტორი წევრის წერილობითი მიმართვიდან -------- დღის ვადაში ვალდებულია განიხილოს ასოცირებული/ინვესტორი წევრის წინადადება და მიიღოს გადაწყვეტილება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობების ან უარყოფის შესახებ;

4.4. ერთერთი მხარის მოთხოვნით, ასოცირებული/ინვესტორი წევრის მიერ კოოპერატივიდან გასატანი ქონების ღირებულების შეფასება შესაძლებელია შესაბამისი სპეციალისტის /აკრედიტებული აუდიტორის მიერ. ექსპერტის შერჩევა შესაძლებელია როგორც ასოცირებული/ინვესტორი წევრის, ასევე კოოპერატივის მიერ. ექსპერტიზის ხარჯებს ასოცირებული/ინვესტორი წევრი და კოოპერატივი ინაწილებენ თანაბრად;

4.5. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას, შეუძლია განახორციელოს განმეორებითი ექსპერტიზა საკუთარი ხარჯებით;

4.6. თუ მხარეები არ ეთანხმებიან განმეორებითი ექსპერტიზის დასკვნას და ჩატარებული ექსპერტიზები არ იყო განხორციელებული სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზა ტარდება ამ უკანასკნელის მიერ ასოცირებულ/ინვესტორ წევრსა და კოოპერატივის მიერ ხარჯების თანაბარი განაწილებით;

4.7. იმ შემთხვევაში, თუ ასოცირებული/ინვესტორი წევრის მიერ შენატანის სახით შეტანილი ქონების გატანა საფრთხეს უქმნის ან აფერხებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის

საქმიანობას, ასოცირებული/ინვესტორი წევრი ქონების დაბრუნების სანაცვლოდ იღებს მისი ღირებულების შესაბამის ფულად ანაზღაურებას;

4.8. კოოპერატივიდან გასვლის შემთხვევაში, ფულით განხორციელებული შენატანი ასოცირებულ/ინვესტორ წევრს უბრუნდება იმავე ოდენობით, რა ოდენობითაც განახორციელა შენატანი;

4.9. სავალუტო კურსის ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია მხარეთა შეთანხმება ფულით განხორციელებული შენატანის დასაბრუნებელი ღირებულების კორექტირების შესახებ;

4.10. ასოცირებულ/ინვესტორ წევრთან საბოლოო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს კოოპერატივიდან გასვლიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.

5. კოოპერატივის რეორგანიზაციის ან დაშლისას დარჩენილი ქონებიდან შესაბამისი წილის დაბრუნების წესი

5.1. კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების, სახელფასო დავალიანების და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფარვის შემდეგ, ასოცირებული/ინვესტორი წევრი დაიბრუნებს მის შენატანს და კუთვნილ აქტივებს დარჩენილი ქონებიდან, მეპაიეებზე კოოპერატივის ქონების განაწილებამდე;

5.2. დარჩენილი ქონების ღირებულების შეფასება შესაძლებელია შესაბამისი სპეციალისტის - ექსპერტის/აკრედიტებული აუდიტორის მიერ;

5.3. დარჩენილი ქონების განაწილება შესაძლებელია მოხდეს ნატურით. სხვა შემთხვევაში ასოცირებული/ინვესტორი წევრის კუთვნილი აქტივების დაბრუნება უნდა მოხდეს დარჩენილი ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან.

6. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლით;

ბ) ასოცირებული/ინვესტორი წევრის გარდაცვალებით;

გ) კოოპერატივის დაშლით/ლიკვიდაციით;

დ) მხარეთა შეთანხმებით

7.2. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს წერილობით ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია _____ მდე;

8.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1. ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ცვლილების განხორციელებამდე არაუგვიანეს --- -- დღისა;

9.3. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან უნდა დაერთოს ამავე ხელშეკრულებას.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ ჩაითვლება მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად და ნაკისრი ვალდებულების დარღვევად;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეთათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სამხედრო მოქმედებებით და სხვა.

10.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ხელშეკრულების მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების მხარეებს შორის არსებული დავები წყდება მათ შორის შეთანხმებით ან სასამართლოში;

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითოეული ინახება თითო მხარესთან.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

კოოპერატივი: **ასოცირებული/ინვესტორი წევრი:**

წინამდებარე ხელშეკრულება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.